ხაშურის მოამბე

№32 (63) 24 აგვისტო, ოთხშაბათი, 2016 წელი

ალოობა დამთავრდა - პროგრესი აშკარაა

ხაშურის მუნიციპალიტეტში ალოობა – 2016 დასრულდა. მარცვლოვანი კულტურები, რომელიც 4 ათას ჰექტარზე მეტზე იყო დათესილი, მთლიანად აღებულია. შედეგი კი, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ჯემალ გელაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, მართლაც საუკეთესოა. ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ (ეთესა 2900 ჰექტარზე) საშუალოდ 4 ტონა შეადგინა, ზოგმა ფერმერმა კი 6-8 ტონაც მიიღო. ქერის მაჩვენებელი (ეთესა 350 ჰექტარზე) 2,5 ტონაა, შვრიისა კი (ეთესა 800 ჰექტარზე) – 2 ტონა. შედარებისათვის: საბჭოთა პერიოდის 80-იან წლებში, ჩვენს რაიონში, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა 2,5 ტონაზე ნაკლები იყო. თუნდაც ეს ციფრი კარგად ადასტურებს, რომ ფერმერებს შრომა დაუფასდათ.

წელს დიდი ყურადღება მიექცა მოსავლის უდანაკარგოდ აღების პროცესს. საბჭოთა პერიოდში დანაკარგები (ე.წ. ჩაბნეული მარცვალი) 10 პროცენტს აღემატებოდა. წელს კი ეს პროცენტი ერთზე დაბლაა. ეს ყველაფერი კი მექანიზაციის მაღალმა ხარისხმა განაპირობა. მოსავლის აღებას ძირითადად შპს „მექანიზატორის" კომბაინები უზრუნველყოფდნენ. თუმცა, მათ გარდა ჩვენი ფერმერებისათვის 14 დამატებითი კომბაინი მუშაობდა.

კარგი მოსავალი უზრუნველყო აგროტექნიკური ვადების დაცვამ, ხარისხიანმა თესლმა. ნაყოფი გამოიღო კონსულტაციებმა, რომელიც თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ფერმერებთან. დიდი როლი ითამაშა ნიადაგის მეცნიერულმა შემოწმებამ, რომლის შემდეგ ხდებოდა ფოსფორიანი, კალიუმიანი და აზოტოვანი სასუქების ზუსტი და სწორი შერჩევა.

დადასტურდა, რომ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების მიდგომა სოფლის მეურნეობისადმი აბსოლიტურად სწორია და ყველა გატარებულმა ღონისძიებამ შედეგი გამოიღო. ფაქტია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-

ტივები და ფერმერული მეურნეობები ამართლებს და სოფლის მეურნეობის განვითარება სწრაფი ტემპით ხდება.

დღეისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში ბოსტნეული კულტურების აღება დაიწყო. პომიდორი უკვე შემოსულია და როგორც ფერმერები ვარაუდობენ, მოსავალი აქაც რეკორდულს მიუახლოვდა.

ვეზირიშვილების შთამომავლები-ხაშურში

ვეზირიშვილების საგვარეულოზე,რომლის ფუძე ოსიაურშია,ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია. მე-17-მე-19 საუკუნეებში ამ გვარის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და კულტურულ-სა-

განმანათლებლო საქმიანობითაც გამოირჩეოდნენ. დღეს ოსიაურში ისევ შემორჩენილია ვეზირიშვილების სასახლე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა აღიარებული. სასახლეს სასწრაფოდ და აუცილებლად ჭირდება რესტავრაცია, რათა იგი განადგურებას გადაურჩეს და მომავალ თაობებს სრული სახით წარუდგეს. ამ მხრივ უკვე გადადგმულია ნაბიჯები და მოლაპარაკებები მიმდინარეობს

კულტურის სამინისტროსთან. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობს აზერბაიჯანის კულტურის ყოფილი მინისტრი, ამჟამად აზერბაიჯანის კულტურის ატაშე, ცნობილი მომღერალი ფოლად ბულბულ-ოღლი, რომელიც ვეზირიშვილების პირდაპირი შთამომავალია (ბებიის მხრიდან). ამ დღეებში ბატონი ფოლადი კიდევ ერთხელ ესტუმრა ისტორიულ ფუძეს ოჯახით. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად მათ მოინახულეს ვეზირიშვილების სასახლე. ვეზირიშვილების შთამომავლის განცხადებით, თუ სასახლის რესტავრაციის სამუშაოები დაიწყება, აზერბაიჯანული მხარე მზადაა ხარჯების 50 პროცენტი დაფაროს. იმედია, ასეც იქნება და ჩვენს მინიციპალიტეტს, განახლებული სასახლის სახით, მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლი შეემატება.

ხაშურის ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქცია დაიწყო

ჩვენი ქალაქის ცენტრალური მოედანი, რომლის პროექტირება გასული საუკუნის 50-იან წლებში მოხდა, ფაქტია, რომ XXI საუკუნის მოთხოვნებს ვეღარ პასუხობს. აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მისი რეკონსტრუქცია დაიწყო. სულ მალე მოედნის იერსახე სრულიად შეიცვლება და ჩვენი ქალაქის ერთგვარი სავიზიტო ბარათი ახალი სახით წარუდგება ხაშურლებს და მის სტუმრებს. რეკონსტრუქცია მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

გაზეთის მომდევნო ნომერში ჩვენ სრულყოფილად წარმოგიდგენთ მოედნის ახალ პროექტს და მის ყველა დეტალს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №27

2016 წლის 5 აგვისტო
ხაშური

წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2016 წლის 1 აგვისტოს 01/2476 წერილის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურულ-ეკონომიკური ინტერესების, ცალკეული არქიტექტურული ობიექტების იერსახისა და მათი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების დაცვის მიზნით, საარჩევნო პლაკატების გაკვრა, გარდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, ასევე აიკრძალოს დანართი №1-ში განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე (დანართი №1 თან ერთვის).

მუხლი 2. ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით საარჩევნო პლაკატის გაკვრა დასაშვებია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ყველა ობიექტზე, მათ შორის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №49 განკარგულების დანართ №1-ით განსაზღვრულ ობიექტებზე.

მუხლი 3. ამ დადგენილების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

დანართი № 1

შენობა-ნაგებობები, სადაც "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გარდა აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა

დასახელება	მისამართი
ხაშურის სამუსიკო სკოლა	ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 1
სურამის სამუსიკო სკოლა	ხაშური, დაბა სურამი, რუსთაველის ქუჩა № 167
ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა	ხაშური, სოფელი ქვიშხეთი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მუზეუმი	ხაშური, კოსტავას ქუჩა № 2; დაბა სურამი, გურამიშვილის ქუჩა № 2
ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა	ხაშური, ძნელაძის ქუჩა № 10
რკინიგზის კულტურის სახლი	ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 31

,,სვიმონაანთ მდგმური”

იტრიაში, სურამთან ახლოს, თავისი ცხოვრების ბოლო წლების ერთი ზაფხული გაატარა გამოჩენილმა ქართველმა პუბლიცისტმა და მოაზროვნემ არჩილ ჯორჯაძემ. იგი აქ იმყოფებოდა 1911 წლის მაისის ბოლო რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე სიმონ ეჯოშვილის ოჯახში. სურამში, ამავე ზაფხულში, ქართველი ინტელიგენციის არაერთი გამოჩენილი წარმომადგენელიც ისვენებდა, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ არჩილ ჯორჯაძეს. მის სანახავად სპეციალურად ჩამოდიოდნენ თბილისიდანაც ამხანაგ მეგრობები. ბევრმა მათგანმა მცირე მოგონებებიც დაგვიტოვა არჩილთან მათი სტუმრობის შესახებ. მიუხედავად ავადმყოფობისა არჩილ ჯორჯაძემ იტრიაში შექმნა წერილების სერია, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „წერილები იტრიის წისქვილიდან“. თუ რატომ ასეთი სათაური და ვისთან ისვენებდა არჩილ ჯორჯაძე, ამის შესახებ ზოგიერთ მოგონებას უნდა მივმართოთ.

ზურაბ ავალიშვილი, ცნობილი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, იგონებს: არჩილ ჯორჯაძე „... სულ უკანასკნელად 1912 წელს (უნდა იყოს 1911 წელს-თ.ლ.) სურამში ვინახულე. ცხოვრობდა იტრიაში, წისქვილზე. მეწისქვილე თავისებური კაცი იყო, არჩილის დიდი მეგობარი, ცოლად ჰყავდა გაქართველებული რუსის ქალი, რომელიღაც სექტის მიმდევარი. წინად ის კაცი რკინიგზის მუშა ყოფილა - ლიანდაგის ოსტატი, რომელიღაც მიზეზით, ვგონებ, რევოლუციაში მონაწილეობისათვის ადგილი დაჰკარგოდა და მეწისქვილედ გამხდარა. სასიამოვნო კუთხე იყო ეს იტრიის წისქვილი. არჩილი ძალიან მხნედ იყო. მუშაობის უნარიც ჰქონდა: სულ იმას ამბობდა: „აი, მოდი, ერთხელ სხვა მეგობრებთან, ეს კაცი წაგიყვანს „ლინეიკით“ მთაში, კარგი გასეირნება იქნება“-ო“.

არჩილ ჯორჯაძე

1911 წლის ზაფხულში სურამში ისვენებდა დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძეც. იგი იგონებს: ,,1911 წელს საგრილოდ სურამში ვიყავი. არჩილ ჯორჯაძეც იქ იყო. ცხოვრობდა იტრიაში (ორი ვერსი სურამიდან). მის მასპინძელს იქავე წისქვილი ჰქონდა გამართული და მის ხმაურს არჩილი ხშირად მახვილს ფიქრს აყოლებდა ხოლმე. ხშირად დავდიოდი მასთან. აქ კიდევ უფრო გაძლიერდა მისი რელიგიურ - ფილოსოფიური ძიება. ამას მოწმობენ მისი „წერილები იტრიის წისქვილდან“... იმ ზაფხულს ბევრი იყო ცნობილი პირი სურამში. თავად კ.დ. ერისთავმა სთხოვა ყველას (მათ შორის არჩილსაც), მის საზაფხულო ეზოში სურათი გადაეღოთ. ყველა დათანხმდა გარდა არჩილისა: არ არის საჭირო (ოდნავ ცივად გადმომცა). საერთოდ სრულებით არ უყვარდა „გამოჩენა“ (თუ გინდ ამ უბრალო სახითაც)''

იტრიაში დასასვენებლად მყოფ არჩილ ჯორჯაძის შესახებ შედარებით ვრცელი მოგონების ავტორი სურამელია. მან „ვლადის“ ხელმოწერით „სახალხო გაზეთში“ 1914 წლის 25 და 27 აპრილის ნომრებში (1171-1173) გამოაქვეყნა ეს მოგონება, რომელიც მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას. სამწუხაროდ, ავტორის ვინაობა ჯერ -ჯერობით ვერ გავარკვიეთ (ვფიქრობთ იგი ვლადიმერ ცაგურია უნდა იყოს, რომლის სახლის ფონზეც გადაღებულია არჩილ ჯორჯაძე სურამის საზოგადოებასთან ერთად), რაც შეეხება არჩილის მასპინძლის - სიმონ ეჯიშვილის ვინაობას, დავადგინეთ, რომ მისი გვარი ეჯოშვილია და არა ეჯიშვილი. ცხოვრობდა იტრიაში ცენტრალურ ქუჩიდან ეკლესისკენ მიმავალ გზასთან ახლოს. აქვე ჰქონდა წისქვილი. უფრო მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაძლებლად მიგვაჩნია ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელება, მაგრამ ეს ხელს არა გვიშლის წარმოვაჩინოთ სურამისა და იტრიის საზოგადოების დამოკიდებულება არჩილ ჯორჯაძისადმი. მოგონების ავტორი ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს საზოგადოებაში არჩილ ჯორჯაძის დიდ ავტორიტეტზე და თავად საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემაზე თავისი ღირსეული წევრის მიმართ. „ვლადი“ იგონებს:

„არჩილ ჯორჯაძე პირველად 1911 წელს გავიცანი. ეს მოხდა გაზაფხულს. რედაქციაში ვმსახურობდი და საქმეების გამო მგზავნიდნენ მასთან. რა სიხარულს, იმავე დროს აღელვებასა ვგრძნობდი, პირველად ამოსვლისას მასთან. შევაღე კარი. ჩემს წინ არჩილი იდგა; გამხდარი, მიმდნარი, ჩავარდნილი ლოყებით, რომლის დაავადებულს სახეზე მხოლოდ თვალები, დიდრონი მშვენიერი თვალები სიცოცხლის ნიშანს იძლეოდნენ. აღელვებით რაღაც წავიღუღღუღე. იგი აღელვება გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ ჩემს გონებაში შარავანდედით მოსილს დიდებულს მწერალს ვჭვრეტდი.

არჩილის მეგობრებში ლაპარაკი ჩამოვარდა, სადმე გაეგზავნათ ავადმყოფი სააგარაკოდ. სენით შებოჭვილს მის სხეულს გრილი და საღი ჰავა ესაჭიროებოდა. უპირატესობა სურამს მიეცა. როგორც იქაურს, ამ საქმის მოწყობა მომანდეს. მოვუხშირე სიარულს ავადმყოფთან, შევეჩვიე. მეტად უხაროდა სოფლად გამგზავრება, რაც თავისთავად ასახსნელი იყო: მეტად ცხელოდა ტფილისში, მის პატარა ოთახში კი ჰაერი შეხუთული იყო. აღელვებით ლაპარაკობდა გადასახლების შესახებ, გეგმებს აწყობდა, თუ როდის რას გააკეთებდა, ერთი სიტყვით, წინასწარ დროს ანაწილებდა. ვუსმენდი და ჩემს გაკვირვებას არ ჰქონდა საზღვარი. მილეულს ტანში ასეთი იმედები, აღფრთოვანება, სურვილები!

მაისის მიწურულს არჩილი სურამს გაემგზავრა. წინასწარ ყველაფერი გამზადებული იყო. ვერ მომიხდა მიცილება აგარაკამდი, თუმც ამას არ საჭიროებდა. სადგურამდე მივაცილეთ. გზაში სამხედრო პირს გასცნობოდა, ქართველს, რომელიც გორის მაზრის ყოფილიყო, ადგილობრივი საკითხების შესახებ ჩამოეგდოთ ლაპარაკი. როგორც მერე ამბობდა, ნასიამოვნები იყო ამ ლაპარაკით, შეუმჩნევლად ჩასულიყვნენ გორამდი, იქიდან კი სურამამდე მცირე დრო რჩებოდა.

ხაშურში, სადაც მეორე მატარებელში უნდა გადამჯდარიყო, საგანგებოდ დაუხვდებოდნენ ყმაწვილები. პირველს წერილში კმაყოფილებას აცხადებდა მგზავრობაზე და სახლ–კარზე, სადაც დაბინავდა. მართლაც, კარგი მდებარეობა ჰქონდა ავადმყოფის ოთახს.

ქვითკირის სახლში სამფანჯრიანი დიდი და ნათელი ოთახი მაღალის კედლებითა. ერთის მხრით შორს მთები მოჰსჩანდნენ, მეორეს მხრით, იქვე, ახლოს, გზის მეორე მხარეს, საუცხოო ფიჭვნარი თავად ჩ(ხეიძ)ეთა, სადაც მოაგარაკენი ცისმარე დღე დასეირნობდნენ. აივნის წინ, ორიოდე ნაბიჯზე, წისქვილი, სადაც მილეთი სოფლელი ირეოდა: ზოგს დაფქვილი მიჰქონდა, ზოგსაც მოჰქონდა დასაფქვავი ურმით თუ ზურგით. არჩილის საყვარელი ალაგიც სწორედ ეს აივანი იყო, საიდანაც ადევნებდა თვალს მოფუსფუსე მშრომელ

(გაგრძელება III გვერდზე)

„სვიმონაანთ მდგმური"

(გაგრძელება)

ხალხს, ხან გამოელაპარაკებოდა კიდეც. ეს ის წისქვილია, რომელიც ერთი მისი ფილოსოფიურის წერილის საბაბი იყო, ამიტომაც დაარქვა უკანასკნელს „წერილები იტრიის წისქვილიდან".

მეც სურამში ვარ, მაშასადამე, ზაფხულს ერთად გავატარებდით. რამდენის გაგონებას ველოდი ძვირფასს ავადმყოფისაგან? ამიტომ გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს თვითეულს მის სიტყვას. მაგრამ ჯერ მის ცხოვრებას შევეხოთ.

არჩილი ადრე იღვიძებდა და, რადგან ჩაის არ ეტანებოდა სრულებით, რძიან ყავას ჰსვამდა. ჰსწერდა განსაკუთრებით დილაობით. ნოტიოს ერიდებოდა, რის გამოც იშვიათად დილ–დილაობით გარედ გამოვიდოდა. თუ არა ჰმუშაობდა, ლოგინზე იწვა უმთავრესად და ჰკითხულობდა, ან ჰსთვლემდა. თუ ათბილდებოდა, შუადღისას აივანზე გამოდიოდა და წისქვილს გადაჰყურებდა, თუ სადარბაზოდ არავინ იყო მოსული. საღამოობით ყოველდღე ავდიოდი და თუ კარგ გუნებაზე იყო და კმაყოფილი დილის ნამუშევარით, მანიშნებდა სუფრისკენ, მეც ვაგროვებდი დაწერილს ქაღალდებს და სიცილით ვსთვლიდი: ერთი, ორი, სამი და ასე ბოლომდე. არჩილი ამას ღიმილით უყურებდა.

თანდათან შეეჩვია სახლის პატრონთ, ძლიერ კმაყოფილი იყო მათი; უკანასკნელნი ხომ სულსაც არ იშურებდნენ მისთვის. შეუძლებელია ახლობელმა ნათესავმაც იმდენი ყურადღება და ძალა შეალიოს ახლობელს. ამის შემყურე არჩილი უხერხულობას ჰგრძნობდა და მეკითხებოდა საფასურის მომატების თაობაზე. რასაკვირველია, გამორჩენისთვის არა ჰსცდილობდა სვიმონი (სახლის პატრონი), არამედ თავის მოვალეობად ჰსთვლიდა. თუ რამდენად შეუყვარდა თავისი ძვირფასი მდგმური, იქიდანაც ჰსჩანდა, არა ერთხელ და ორჯელ გამიგონია მისგან: არჩილის მზესა ვფიცავ და სხვა. სამარისებური სიჩუმე იდგა, ქათამიც ვერ გაიჭაჭანებდა, როცა არჩილი ჰსთვლემდა, სტუმარს ხომ არ შეუშვებდნენ ამ დროს. საღამოს 9–10 საათს უკვე იძინებდა. ასეთს კეთილ და ერთგულ დარაჯად ადგნენ თავს ცოლ–ქმარი ჩვენს დაუვიწყარს მოძღვარს.

სურამში მყოფი ჩვენი მოღვაწენი ვალადა ჰსთვლიდნენ არჩილთან შევლას. მისი ხშირი სტუმარი და ჯანმრთელობის დარაჯი იყო ექ. ივ. გომართელი. იყვნენ: საგანგებოდ ავადმყოფის სანახავად ჩამოსული ზ. ავალიშვილი, გეგეჭკორი, თუ არ ვცდები, გრ. რობაქიძე, გრ. დიასამიძე, ვ. ღამბაშიძე და მრავალი სხვა. თანამოკალმეთა და მოღვაწეთა ყურადღება სიამოვნებას ჰგვრიდა. ჰნახულობდნენ ბორჯომიდან და წაღვერიდან ჩამოსულნიც.

არჩილს როგორდაც გაეგო, ნოე ჟორდანია ჩამოსულა სურამში, დაინტერესებულა, – მინახულებს თუ არაო. როცა ნოე წავიდა

სურამის საზოგადოებრიობა (XX ს–ის 10–იანი წლები).
პირველ რიგში მარცხნიდან პირველი ალექსანდრე ხორავა, მეორე რიგში,ცენტრში ზის მღვდელი იოსებ ბეგიაშვილი, მისგან მარცხნივ მესამე არჩილ ჯორჯაძე , მესამე რიგში მარცხნიდან მეხუთე მიხეილ მორგანიშვილი.

დაბიდან, ღიმილით ამბობდა:

- როგორ მოვიდოდა ჩემთან, მოსისხლე მტერთან!

ასეთი ლაპარაკი, ხუმრობა იმას მოასწავებდა, რომ არჩილი, კარგს გუნებაზე იყო. ჩვეულებრივ ჩაფიქრებული და ჩუმი, ამ წუთებში კარგი მოსაუბრე იყო. მეც ვისმენდი ათასგვარ ამბავს, მის პირად ცხოვრებიდან და შეხედულებას ამა თუ იმ მოვლენასა და მოღვაწეთა შესახებ. იგონებდა გიმნაზიაში ყოფნის ხანას, უნივერსიტეტში გამგზავრებასა და სამეცნიერო წრეებში მუშაობას, ინგლისს გამგზავრებას, პარიზში ყოფნას, აუტანელ გაჭირვებასა და სხვა. სხვადასხვა მიზეზის გამო ყველაფერს ვერ შევეხებით, შევჩერდებით მის მოგონებებში ორ–სამ ფაქტზე:

პირველი – „საქართველოსა" და დ. ზ. სარაჯიშვილის შესახებ არის. რომელს წელს ეკუთვნის შეხვედრა სარაჯიშვილთან, არ მახსოვს, სამწუხაროდ, ვერ ჩავინიშნე. არჩილი დიდს გაჭირვებასა ჰგრძნობდა, ჟურნალისთვის საჭირო თანხა კი არა, ხანდისხან საკუთარ არსებობისთვის საჭიროც არ ჰქონდა. იმ ხანებში პარიზს ჩასულა დ. ზ. სარაჯიშვილი. – გაგონილი გვქონდა, – ამბობს იგი, – დავით ზაქარიას ძე მამულის დიდი მოყვარულია და ჩვენც ხომ იგივე გრძნობა გვასულდგმულებდა, თუმცა საკითხს სხვაგვარად ვაყენებდით. გადავწყვიტეთ, გაგვეცნო მისთვის ჩვენი მრწამსი და დახმარება გვეთხოვა. დაიმედებული გავეშურეთ. მიგვიღო. დავიწყეთ ლაპარაკი, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს იმდროინდელს ვითარებას ეხებოდა; ამასთან „საქართველოც" ვახსენეთ, მისი მიზანი გავარკვიეთ, დახმარების შესახებ სიტყვა გადავუკარით. რარიგ გაგვიკვირდა, რომ ცივი უარი გვითხრა, თანაც დაუმატა, თქვენს მუშაობას არ თანავუგრძნობ და მეტად მიმაჩნიაო. თოფნაკრავივით წამოვხტით და გამოუმშვიდობებელი წამოვედით.

სახლში მისვლისას არჩილს მკაცრი წერილი მიეწერა დ. ზ. სარაჯიშვილისთვის (შეიძლება დ.ზ. სარაჯიშვილის ქაღალდებში აღმოჩნდეს ეს წერილი, მეტად საპატივსაცემოა მისი გამოქვეყნება – ვ–დი).

ეს იყო და ეს, მის შემდეგ ყოველივე კავშირი გაეწყვიტათ ამ ორს მოღვაწეს.

როდესაც დაავადმყოფებული სარაჯიშვილი ბერლინიდან ტფილისს მოჰყავდათ, ვარშავაში მას არჩილის სიძე, ექიმი გამოჰყოლია, მოუგონებია განსვენებულს დავით ზაქარიას ძეს პარიზის ინციდენტი.

დიდის ხალისით იგონებდა საზღვარგარეთიდან საქართველოში ჩუმად დაბრუნებას, „საქართველოს" შეჩერების შემდეგ. წერილი არ მახსოვს.–გემით მივდივარ შავი ზღვით ბათომისაკენ. პასპორტი მაქვს მოსკოველისა (ებრაელი ჰსთქვა, ასე მახსოვს). დაინტერესებული კავკასიის სილამაზით ვმოგზაურობ ვითომ. ვცდილობ, კილო დავიცვა, თავს ძალას ვატან. გზაში გამეცნო ბობოლა სამხედრო პირი, რომელიც არა მშორდებოდა და განუწყვეტლივ მელაპარაკებოდა. ჩამაცივდა, გარეგნობით მეტად ჰგევხართ კავკასიელსო, კილოც ვერა გაქვთ დაცული, ალბად, კავკასიაში ხშირად გიცხოვრიათო. ოფლმა დამასხა, ბევრი ვეცადე კილოს დაცვით დამემტკიცებინა მოსკოველი ვარ, კავკასიაში არა ვყოფილვარ და თუ გარეგნობით კავკასიელს ვგევარ, ჩემი ბრალი ის არის, მე არაფერ შუაში ვარ–მეთქი. ბათომს ვუახლოვდებოდი, მღელვარება მემატებოდა, ვიცი, ნავთსადგურზე დამხვდებოდნენ, სამხედრო პირი ვაითუ არ მომშორდეს და რომ დაინახავს, ქართულად მომესალმნენ, ეჭვს აიღებს და ცუდათ წავა საქმე–მეთქი. მართლაც ასე მოხდა: მე და ის ერთად გავედით გემიდან ბათომში. დამინახეს, თუ არა ჩვენებმა, გამოექანენ ჩემსკენ. მე კი რაც შემიძლია, ვაჩვენებ მიმიკით, თავის ქნევით არ მოახლოებულიყვნენ. მიხვდნენ და ასე გადავრჩი. რაც იმ ხანს ვიგრძენი, ძნელი ასაწერიაო (მრავალს მის მოგონებებს და სხვას ჯერ ვერ შევეხებით სხვადასახვა მიზეზის გამო – ვ–დი).

არჩილი ახალგაზდობისგან წერილებს იღებდა. სტუდენტები თავის დარდს და ნააზრევს უზიარებდნენ, საზოგადოებრივ საკითხებზეც გამოსაუბრებას ჰსთხოვდნენ. მეტად აფასებდა ასეთს ყურადღებას და ხალისით პასუხსაც აძლევდა. უმთავრესად საკითხი ჩვენი საზოგადოებრივობის და მწერლობის დაქვეითების გარშემო ტრიალებდა. უნდა ითქვას, არჩილი დიდი ოპტიმისტი იყო და მომავალს ჩვენსას იმედით შეჰყურებდა. არც პირადი უიმედობა, ავადმყოფობა და ხიფათითა და განსაცდელით მდიდარი წარსული მასში სულის სიძლიერეს ვერ ასუსტებდა და თუ მისთვის დახშული იყო ბედნიერება, თავისი ტანჯული ერისთვის არამც თუ ჰსწყუროდა იგი, კიდეც ჰსწამდა. დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზდობისა. ახალგაზდას გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე ხომ ახარებდა. რამდენჯერ უთქვამს, ქართულს პრესას რომ სტუდენტობა არა ჰყავდეს მუქთა თანამშრომლად, ამდენ ხანს ყველა დაიხურებოდაო. კარგად მახსოვს მისი სიტყვები: ათი-თორმეტი წელიწადი არ გაივლის, რომ ჩვენი მწერლობა გამდიდრდებაო. რამდენი ქართველი ახალგაზრდა მიდის უმაღლეს სასწავლებელში, ასში ორი მაინც გამოვა ხეირიანი და სამშობლოს მოსიყვარულე, ამასთანავე, სამწერლო უნარის მქონე. აღორძინება ჩვენს მწერლობას, კერძოდ, პუბლიცისტიკას, ახლაც ეტყობაო.

ახალგაზდობა უყვარდა მას, არც უკანასკნელი ივიწყებდა თავის საყვარელს მოძღვარს. სურამში სააგარაკოდ მყოფი მოსწავლენი, ქალი თუ კაცი, ხშირად დადიოდნენ დიდებულს მწერლის სახლისკენ (რაც ერთი ვერსის სიშორითაა სურამიდან) და შესვლას რომ ვერ ჰბედავდნენ, ფანჯარას უყურებდნენ, ეგებ დავინახოთო. ქალიშვილი მოსწავლენი ხანდახან ყვავილებს აუტანდნენ, ჩვენ მაგიერ გადაეციო. ასეთი ყარადღება მეტად აღელვებდა და წარმოიდგინეთ, შეწითლდებოდა ხოლმე კიდეც.

საუცხოვო ამინდი დადგა. ტფილისიდან ე(ესტატე) ა(ვალიშვილი) ჩამოვიდა. უკანასკნელის ჩამოსვლამ, მისმა სიტყვებმა, წიგნების გამოცემის საქმე კარგად მიდის და მესამე, მეოთხე ტომი ზაფხულში გამოვლენო, მეტად კარგს გუნებაზე დააყენა არჩილი. ნეტა, ისე მაინც არ მოვკვდე, - ამბობდა განსვენებული, - ჩემი ნაწერების გამოცემას ვერ მოვესწრო. უკვე დაბეჭდილ წერილებში ზოგგან კორექტივის შეტანაა საჭირო, ამას კი ჩემს მეტი ვერავინ იზამსო... მხოლოდ მეხუთე ტომის დაბეჭდვის უკეთეს დროსთვის გადადება არ ესიამოვნა, მაგრამ პირობები იყვნენ აქ დამნაშავენი. დღე დღეს მისდევდა, არჩილი უკეთესად ჰხდებოდა, ახლა აივანს აღარ ჰყაბულდებოდა და წისქვილის ახლო-მახლო დასეირნობდა. ამასობით მოსახლე გლეხკაცობამაც გაიგო, რომ „სვიმონაანთ მდგმური" დიდი კაცია და ჩემისა თუ სახლის პატრონის პირით რჩევას ჰსთხოვდნენ, უმთავრესად მიწის შეძენის შესახებ.

ზაფხული მიწურულში იყო. ლაპარაკი ჩამოვარდა ტფილისში გადასვლაზე, რასაც ჯანრთელობა არ უშლიდა, საშური საქმენიც ავალებდნენ და თუ არ ვცდები, 12-ს მარიამობისთვეს (რიცხვი ნამდვილად არ მახსოვს) გაემგზავრა ტფილისისაკენ.

ორიოდე კვირის შემდეგ მეც წავედი სუარამიდან სარუსეთოდ გამზადებული. ტფილისში შევიარე არჩილთან, იმედიანად გამოიყურებოდა და დიდის კმაყოფილებით იგონებდა იტრიაში გატარებულ ზაფხულს. გავიდა კიდევ ერთი წელი. ექიმების რჩევით, ზაფხული წაღვერში გაატარა. იქიდან დაბრუნებისას „პალე-როიალის" სასტუმროში იდგა, რედაქციის გვერდით. კიდევ რუსეთს მივდიოდი და გამგზავრებამდი მისი ნახვა მსურდა. ღმერთო ჩემო, რა ცვლილება გადამეშალა თვალწინ! ეს ის არჩილი არ იყო, სურამში რომ ვხედავდი. ჩაყვითლებული, ჩახრინწიანებულის ხმით, ჩამქრალის თვალებით. მიუხედავად ყველა ამისა, სათაბიროს არჩევნები ეინტერესებოდა და თანამოაზრეთ ყოჩაღი მუშაობა იმერეთში მე

(გაგრძელება IV გვერდზე)

(გაგრძელება)

ტად ახარებდა. გამოვეთხოვე, მაგრამ გული მიკვდებოდა, ეტყობოდა, რამდენიმე თვეღა დარჩენოდა საცხოვრებლად. გულდაწყვეტილი გავეშურე რუსეთს.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, გაზაფხულდა, რამაც რუსეთში მყოფს ქართველ სტუდენტობას ცუდი ამბავი მოუტანა: არჩილის განშორება ამა წუთისოფლიდან.

მწარედ, გულსაკლავად ვქვითინებდით“.

თუმცა მანამდე, სანამ ეს მოხდებოდა, მცირე, მაგრამ მაინც იყო კიდევ დრო გასასვლელი. არჩილსაც ჯერ კიდევ ბევრი საქმე ჰქონდა საკეთებელი და მოსასწრები, ყოველშემთხვევისთვის თავისი ნაწერები უნდა მოეყვანა წესრიგში და გამოეცა. იგი აქ, იტრიაში, მუშაობდა თავის II და III ტომებზე, ფიქრობდა მომდევნო IV და V ტომების შინაარსზე. კითხულობდა, წერდა აკეთებდა თბილისიდან გამოგზავნილი ნაბეჭდი ტექსტების კორექტურას. ამისთვის იტრიაში მართლაც რომ შესაშური პირობები იყო მისთვის შექმნილი. ამას თავად არჩილიც აღნიშნავს თამარ ფალავანდიშვილისათვის 1911 წლის ივნისში გაგზავნილ ერთ–ერთ წერილში: „ალბად კარგად ხართ, რომ მუშაობთო, მეუბნებით. აქ მოვკეთდი ცოტათი, ხოლო კარგად მე აღარასოდეს არა ვარ. როცა ძალზე არა ვარ დაძაბუნებული ფიზიკურადაც, ცოტა–ცოტას ვმუშაობ. ჩემი მდგომარეობა ისეთია (სულიერი) რომ თვით ავადმყოფობაშიაც უნდა ვიმუშავო, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გამიძნელდებოდა ამოდენა ჭირ–ვარამის ატანა, მუშაობა ხალის მაძლევს სიცოცხლისას. ამის წყალობით არ მოვწყდი სიცოცხლეს და ჩემი აზრიც არ მიძინებულა. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. მე ძლიერ შევეგუე ამგვარ პირობებს, რომელნიც კარგად მყოფს აუტანელი ეჩვენებოდნენ.

აქ, სოფელში, მოსვენებით ვარ. არავინ მიშლის და იმედი მაქვს, ერთ დიდ ეტიუდს დავამთავრებ – მესამე წიგნისთვის, რომელსაც ერქმევა სახელად „ფილოსოფია და ხელოვნება“ და რომელიც გამოვა შემოდგომაზე, თუ მეორე წიგნი კარგად გავრცელდა“.

ესტატე ავალიშვილი, 6 ივნისს, მეორე წიგნის კორექტურასთან დაკავშირებით არჩილს იტრიაში წერდა: „პატივცემულო არჩილ! წარსულ პარასკევს გამოვგზავნე კორექტურის ფურცლები პირველი ფორმისა (79–104 გვ.) და თან წერილიც, ღია ბარათით გამოვაყოლე.

მე იმედი მქონდა, რომ კვირას აქ იქნებოდა გასწორებული და დღეს დილასვე (ორშაბათს) დაბეჭდავდნენ, მაგრამ დღესაც არ არ არის მიღებული. არ ვიცი, რა უნდა იყოს მიზეზი. აშკარაა ფოსტა ძალიან გაგვიჭირებს საქმეს და თუ ასე გაგრძელდა, ძალიან დაიგვიანებს ბეჭდვას, მე კი იმედი მქონდა 1 ივლისს გამოვუშვებდით, ასე ვაცხადებთ. მეორე ფორმის კორექტურა შაბათს გამოვგზავნე, მესამესიც დღეს გამოიგზავნებოდა, რომ პირველი მოსული ყოფილიყო. მე ასე გავურიგდი: ერთი ფორმა რომ მანდ იქნებოდა, მეორე გზაში უნდა ყოფილიყო თქვენსკენ გამოგზავნილი და მესამე მე აქ უნდა მესწორებინა პირველი კორექტურა, ეხლა კი ორივე ფორმა მანდ არის და ამდენ ასოს არ დაგვაბანდებინებენ...

ფული შაბათს გამოგზავნეს და ეხლა მგონი მიღებული გექნებათ. თქვენი ერთგული ე. ავალიშვილი.

მეორე ფორმაზე კორექტურის ორიგინალი არ გამომიგზავნია და დღესა ვგზავნი. სჯობს ორიგინალები სულ დააბრუნოთ ხოლმე უკან“ .

7 ივლისს იგივე ესტატე ავალიშვილი მე–3 წიგნის დაბეჭდვასთან დაკავშირებით არჩილს წერდა: „პატივცემულო არჩილ! მე–III წიგნის დაბეჭდვა ეხლავე გვინდოდა, იმიტომ, რომ მარიამობისთვის მზად ყოფილიყო კიდეც და იმ დროს კი, რადგანაც ზაფხულის ბოლოს ყველა წიგნს ბაზარი ეხსნება, ვფიქრობდი, რომ სამ წიგნში იმდენი მაინც უნდა გაიყიდება–მეთქი, რომ კიდე ერთი წიგნი გამოგვეცა, მაგრამ რახან მზად არა გქონდათ, მეტი ღონე არ არის, ან შევაჩერებთ, ან სხვის ნაწერებს გამოვცემთ. ამას გარდა, ახალი წერილი გაზეთში უნდა დაიბეჭდოს, ჩემის აზრით. მე–III წიგნის მასალას დღესვე საგანგებო ბანდეროლით ვგზავნი. ვეცდები როგორმე შემოვიარო ამ ზაფხულს სოფელში წასვლისას. პატივისცემით ესტატე.

მე–II წიგნის გამომცემლადაც ისევ თქვენი სახელი ჩავაწერინე“.

იტრიელ მასპინძელს არჩილ ჯორჯაძის წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია ურთიერთობა მასთან. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არჩილ ჯორჯაძის არქივში დაცულია რამდენიმე წერილი, რომელიც ამ ურთიერთობაზე მეტყველებს. როგორც წერილებიდან ირკვევა, ამ დროს სიმონ ეჯოშვილს გართულებული ურთიერთობა ჰქონია ადგილობრივ მემამულესთან - ჩხეიძესთან. მართალია, წერილებში ეს გვარი არ ფიგურირებს, არ ჩანს, მაგრამ იტრიაში სწორედ ჩხეიძეები არიან. სიმონ ეჯოშვილს თავის რამდენიმე მეგობართან ერთად მიწის ნაკვეთი შეუძენია ჩხეიძისაგან, გარკვეული თანხაც გადაუხდია, მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ბოლომდე ვერ შეუსრულებია. ამიტომ მემამულე სიმონ ეჯოშვილისაგან მოითხოვდა, დაეტოვებინა მიწის ნაკვეთი, სახლი და წისქვილი გადაეტანა სხვა ადგილზე.

არჩილ ჯორჯაძე დაინტერესებულა სიმონ ეჯოშვილის ბედით და სხვებთან ერთად შუამდგომლობაც გაუწევია მისთვის მებატონესთან. წერილებიდან ჩანს, რომ ეს თხოვნა მებატონეთა მხრიდან უყურადღებოდ დარჩენილა, არც ის ჩანს, რა ბედი ეწია სიმონ ეჯოშვილს. პირველი წერილი სიმონ ეჯოშვილს 1911 წლის 9 სექტემბერს გაუგზავნია არჩილისათვის. წერილში კარგად ჩანს ავტორის ღრმა სიყვარული და პატივისცემა ადრესატისადმი. დასახელებულია რამდენიმე პიროვნება - ბესარიონ დვალ(ა)ძე და მღვდელი ციცქიშვილი, რომლებიც სიმონ ეჯოშვილს მებატონესთან მორიგებაში ეხმარებოდნენ. სახელდება ალექსანდრე ხორავაც, რომელიც იმ პერიოდში სურამის ბიბლიოთეკას განაგებდა, აქტიურ მონაწილეობას ღებულებდა იმდროინდელი სურამის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. იგი ვაჭრობას ეწეოდა და მისი მაღაზია ერთგვარ ცენტრასაც წარმოადგენდა ამ მხრივ. იგი აქ ღებულობდა სურამის ბიბლიოთეკისათვის გამოწერილ ჟურნალ-გაზეთებს და ხალხმრავლობაც იყო მის სავაჭრო დაწესებულებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ იტრიაში არჩილის ყოფნის პერიოდში, მისთვის განკუთვნილი გაზეთები, კორესპონდენციები თუ წერილები ალექსანდრესთან მიდიოდა და ამ უკანასკნელს უნდა მიეწოდებინა არჩილისათვის. ამას გვაფიქრებინებს ის კონტექსტი, რომელშიც სიმონ ეჯოშვილი მოიხსენიებს ალექსანდრე ხორავას. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ რატომ უნდა ეკითხა ხშირად ალექსანდრე ხორავასთან სიმონ ეჯოშვილს რაიმე წერილი ან გაზეთი ხომ არ მიგიღია არჩილთან გამოგზავნილიო. იტრიაში ალექსანდრეს ხელით მიიღო აკაკი პაპავას, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა წერილები და გზავნილები.

აქ ერთ საინტერესო ფაქტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს ის პერიოდია, როცა იბეჭდება არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა ტომეულები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ქალაქებსა და დაბა–სოფლებში აგენტების მეშვეობით ვრცელდება არჩილის წიგნებზე ხელმოწერები. სურამში ესტატე ავალიშვილის მიერ ასეთ აგენტად სახელდება ალექსანდრე ხორავა. ე. ავალიშვილის 6 ივნისის წერილში ამის თაობაზე ნათქვამია: „ხელმოწერის საქმე ეხლა ბევრად უფრო კარგად იქნება მოწყობილი. აგენტებს გავუგზავნე უკვე შემდეგ ადგილებში: ქუთაისი, ბათუმი, ხონი, სამტრედია, გომი, თელავი, ბაქო და გურჯაანი. დარიგებულია 700 ბილეთამდე და თუ ყველამ გაასაღეს, თითქმის უკვე ხარჯს დაფარავს. სურამში გამოვუგზავნეთ ალ. ხორავას, სანდო კაცია, მაღაზია აქვს მანდ. ყველგან უკვე დავპირდით რომ 1 ივლისს გამოვაო და ხელის მოწერას მხოლოდ 1 ივლისამდე ვიღებთ – მეთქი. შემდეგ წიგნებზე თქვენზე ჯერ არ ვაცხადებთ, რადგან ვინ იცის, საქმე როგორ იქნება და ტყუილად ნუ დავაიმედებთ საზოგადოებას“ .

როგორც პეროიდული პრესიდან ირკვევა, არჩილ ჯორჯაძეს სურამის ბიბლიოთეკისათვის თავისი წიგნებიც გადაუცია. ამასთან დაკაშირებით ბიბლიოთეკის გამგე ალექსანდრე ხორავა 1911 წლის 13 აგვისტოს ,,სახალხო გაზეთში'' წერს: ,,სურამის სამკითხველოს გამგეობის მხრით გულითადს მადლობას ვუხდით პატივცემულ მწერალს არჩილ ჯორჯაძეს თავის წიგნების ,,ეროვნულ;ი პრობლემის გარშემო'' და ,,ჩვენი საზოგადოებრიობის'' შემოწირვისათვის''.

გთავაზობთ სიმონ ეჯოშვილის წერილებს არჩილ ჯორჯაჯისადმი:

„1911 წელსა, 9 ენკენისთვეს.

წერილი ბატონ არჩილ ჟორჟაძესთან

პირველათ მოგიკითხამთ სიყვარულითა, ვისურვეფთ თქვენს კარგათ ყოფნასა. ანამ მოგიკითხათ სიყვარულითა, გისურვათ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე. ბატონო არჩილ, რაც თქვენ წაბრძანდით, თქვენი აღარც წერილი და აღარც გაზეთი აღარ მოსულა ჩემთან. ხშირათ ვიკითხე ალექსანდრე ხორავასთან და სულ იმას მეუბნებოდა, რომ აღარა მოდის. რავი, თუ რამე, ან წერილი და ან სხვათ რამე გეგულებათ აქ სურამში მამწერეთ, ძალით ვიპოვნი ფოსტაშია. ჩვენ კარგათა ვართ. ეხლა მარტოკა დავრჩით მე და ჩემი ანა. რაც შე(ე)ხება ჩემ საქმესა, ისევ ისე არის დარჩენილი სადავოთა. ერთი ხელობა კიდევ ვცადეთ ბესარიონ დვალ(ა)ძეს ხელით და ღვდელ ციცქიშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ არა იქნარა. მაძლევენ ოთხას საჟენს და სახლი გადაიტანევო. მე ის ვერ ვიკისრე და დარჩა ისევ ისე საქმე. რამტენიმეჯერ კიდევ შევეკითხე და ისე მიპასუხეს, რომ ჩვენ აქ ვერ გავწორდებითო, ჩვენ სუდში უნდა გავწორდეთო. მეც ველოდები, რა გამეწყობა, ჯერ კი არაფერი ანბავი არ არის რა.

გასახარათ დაგვჩება, თუ ქალაქის ჰაერს შე(ე)წყოთ და მაინც თუ კარგათ ბძანდებით. იმედი მაქს, რომ არ ჩამომართმევთ როგორც ფარისეველ კაცს, თქვენი წასვლის შემდეგ საშინელი მოუსვენლათ ვართ, რაღაც არეული ვართ საშინლათ. ვწუხვართ უთქვენობას. არ არის ისეთი საათი, რომ ეს არ წარმო(ი)თქვას ჩვენს სახლშია, თუ ნეტა როგორ არის ჩვენი არჩილი.

გწერთ მორჩილი თქვენი სიმონ ეჯოშვილი“.

მეორე წერილში, რომელიც უთარიღოა, სიმონ ეჯოშვილი არჩილ ჯორჯაძეს კვლავ თავის პრობლემებზე ესაუბრება:

“ბატონო არჩილ!

მოგიკითხამთ სიყვარულით, ანამ მრავალი მოკითხვა, გისურვებფთ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. მოკითხვა პაშამ, ნინამ, ოლამ, ელენამ(?) გისურვათ ყოველი სიკეთე. ჩვენ ცოცხლები ვართ ბატონო არჩილ, სხვა კარგი არაფერი. საქმე ისევ ისე არის დარჩენილი. ოთხასი საჟენს მაძლევენ და ამ თვის გასულ წისქვილი დაგვიცალევო. სახლიც ერთ წელიწადში გადაიტანევო და თუ არა სუდს მივმართამთ და ძალათ გაგისტუმრეფთო. მაგრამ მეც ამის მომხრე ვარ. სულ დარჩეს მაგათ ხელშია. მაინც სახლის გადატანა ძალიან ძნელია. ეს ბატონო იმისთვის გატყობინებთ, რომ მთხოვეთ, შემატყობინევი, რა პასუხს მოგცემენო და ამ ზამთარში თავს გამოვკვებამ, არ დავანებებ წისქვილსა და მერე მივანებეფ თავსა. დაძღნენ, მაინც მშიერები არიან. მეტს აღარ მოგწერთ ამათ შესახებ ამათ საზიზღრობას. აღარ მინდა თქვენი შეწუხება. მშვიდობით არჩილ, მრავალჯერ მენახოთ, კეთილად ბრძანებულიყავით.

გწერთ მორჩილი თქვენი სიმონ ეჯოშვილი“.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გამოსირება

ამ სტატიის სათაურზე ვიტყვი ჯერ, რადგან მკითხველთა ერთ ნაწილს, იქნებ, უცენზურო სიტყვადაც კი მოეჩვენოს იგი.

„სირი“ ძველქართულად ჩიტს, საზოგადოდ, ფრინველის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. გაიხენეთ, რას ეუბნება ტარიელი ავთანდილს: „ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა“-ო. ყველაზე დიდ ფერინველს ხომ სირაქლემა (ანუ ჩიტაქლემა) ჰქვია. ისე, რომ „სირის“ ხსენება სამარცხვინო როდია. სავალალო და თავმოსაჭრელი ის არის, როცა ადამიანს ჩიტზე მეტი აზროვნება და განსჯის უნარი არ აღმოაჩნდება, ჭკუა-გონებით ჩიტს დაემსგავსება ანუ გამოსირდება.

ჩემი თანამემამულე ქართველების ერთი ნაწილის (სამწუხაროდ, საკმაოდ დიდის!) გამოსირება მიკლავს გულს, თორემ ფრანგებისა თუ გერმანელების, ესპანელებისა თუ ინგლისელების გამოსირებაზე კი არ ვდარდობ, იმის მიუხედავად, რომ ისინიც ჩვენთან ერთად კაცობრიობის წევრები არიან. კაცობრიობის გამოსირება არც ერთ ერს არ მოუტანს სიკეთეს, ვიცი ეს მე, მაგრამ ისიც ვიცი, რომ წარსულში ზემოდ ნახსენები ერები გამოსირებულები არ იყვნენ. ის კი არა, საკაცობრიო ცივილიზაციას ედგნენ სათავეში და გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითებს აძლევდნენ სხვებს. ჩვენ კი, რაც ვიყავით ისეთივენი დავრჩით. წმინდა ილია მართალმა ზუსტად დაგვახასიათა ამ საუკუნენახევრის წინ: „მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი შინ ძლიერი... არ რის მცოდნე, არ რის მქონე, ამაყი და ბედნიერი“. აბა მითხარით, ამგვარი ხალხი გამოსირებული არ არის?

ახლანდელ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას რომ ვუყურებ, მეჩვენება, თითოქს ცოცხალი მაგალითებით გათვალსაჩინოვდა ის მოვლენები, რაზეც ჩვენი დიდი წინაპრები გულდათუთქულნი მოსთქვამდნენ. „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ-ღლიღი, დიდო ქისტი, ყველა ქართლის მტრები იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი, მერე შინაც აიშალნენ, ძმამ მოუდო ძმასა ყისტი, თავის თავსა ხმალი იცეს, გულსა მოიხვედრეს ხიშტი“. აი, ასე წერდა დარდით გულგასენილი დავით გურამიშვილი სამი საუკუნის წინ, თითქოს ჩვენი თანამედროვე იყო.

გარშემო, როცა ამდენი მტერი გახვევია და შენ შენივე ხელით თავში ხმალს იცემ, გამოსირებული ხარ, აბა, რა ხარ კიდევ?! განა გასული საუკუნის 90-იან წლების საქართველოში „არ მოუდო ძმამ ძმას ყისტი“ და თავის თავს ხმალი არ იცეს ქართველებმა? ისე მამაცურად რომ ეომათ მტრის წინააღმდეგ, როგორც იმ დროს ერთმანეთს ებრძოდნენ ქართველები, არც აფხაზეთს დავკარგავდით და არც სამაჩაბლოელ ხიზნებს ექნებოდა სეპარატისტული ამბიციები. მუდამ გადაჭარბებული მეგონა გენიალური ვაჟა-ფშაველას ვედრება ღვთისადმი - ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო, რამეთუ ამ უკანასკნელს არაფერი დაუშავებიაო მათთვის. ღმერთი რატომ ჩაერევა იმათ საქმეში, ვისაც უფალი დავიწყებია და მამონას მონა გამხდარა! არც ჩაერია და ამიტომაც კისრიტეხით გამოაბუნძულეს მამაპაპური სამკვიდროდან ჩვენი თანამოძმენი.

ისტორია მეორდებაო, - ნათქვამია, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ჩვენთვის მაინცდამაინც ცალმხრივად მეორდება: ჩვენი მასობრივი გამოსირების მაგალითების რეინკარნაცია ხდება საოცარი სიზუსტით. საამისო მაგალითების ძებნაზე დიდი ოფლისღვრა არ დამჭირდება, ნამდვილად. აი, ერთი მათგანი: კრწანისის ბრძოლის წინ, ქართლ-კახეთის მეფემ ჯარის სარდლად დანიშნა არა მის გვერდით მყოფი გენიოსი მხედართმთავარი და გმირი გიორგი სააკაძე, არამედ სხვა... მთავარსარდლობას თუ არ მანდობთ, ომის ჩემეული გეგმა მაინც მიიღე, მეფეო, - შეჰვედრა დიდმა მოურავმა, მაგრამ მეფემ მაინც ქათმისთვინა თავადების „მოსაზრებანი“ გაიზიარა. რა მოხდა მაინც: საქართველოს მტერი და მოძულე იყო მასინდელი მეფე ქართლ-კახეთისა? არა! გამოსირებული იყო! ჰოდა, მტრის ჯარმა სასტიკად დაგვრეჯგვა მარაბდაში ჩვენი გამოსირებულობის გამო. დაგვრეჯგვა, მაგრამ მერე რა? ისტორიულმა გაკვეთილებმა ჩაგვაგდო გულისხმაში, ვითომ? მეტი არაა ჩვენი მტერი! თინა ხიდაშელს რომ ამირსპასალარობას უბოძებ, მეტი გამოსირება რაღა გინდა?!

არაფერი ისტორია არ მეორდება! ყველას თავისი ჭკუისა ემართება და ეს არის სულ! აბა, თუ მეორდება, რატომ ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის დრო აღარ განმეორდა? რუსთველი და დავით გურამიშვილი რატომ აღარ დაიბადნენ შემდგომში? ილია ჭავჭავაძის ჭკუა-გონება რატომ აღარავის გამოჰყვა? რაღა სულ შადიმნები და მიშა სააკაშვილები, გიგა ბოკერიები და ირაკლი ოქრუაშვილები იბადებიან ხშირ-ხშირად? ილიასა და ვაჟა-ფშაველას ნაფუძარზე, ასე რამ მოამრავლა ზაზა ბურჭულაძეები და ლაშა ბუღაძეები, რატი ამაღლობლები და ვიღაც ლეკიაშვილები? არ ვიცი, არ ვიცი! ის კი ვიცი, ჩვენი გამოსირება რომ არა, ეს ვიღაც ბურჭულაძეები და ბუღაძეები, ამაღლობლები და ლეკიაშვილები „უბორნიის“ პოეტებად დარჩებოდნენ სამუდამოდ. დიდი ივანე ჯავახიშვილის სამშობლოში სიმონა მასხარაშვილს ისტორიკოსად რომ ჩათვლი, მეტის ღირსი ხარ! მერე ნუღარ იწუწუნებ იმაზე, რომ პროფესორებად გამოგეცხადონ ვიღაც წერა-კითხვის მცირემცოდნე თეა თუთბერიძეები, ხოლო უნივერსიტეტებში რექტორის სავარძლები დაიკავონ ვინმე გია ხუბუებმა და გიგი თევზაძეებმა.

ახლა ისეთი პერიოდი უდგას საქართველოს, რომ ჩვენი ხალხის გამოსირებული ნაწილი ძალდატანების გარეშე მოახდენს თვითლუსტრაციას. რა პერიოდია ასეთი? წინასაარჩევნო პერიოდია, წინასაარჩევნო! ყველა ძაღლი და მამაძაღლი პოლიტიკურ საშოვარზეა გამოსული.

პოლიტიკური ბაზარი კი ძალიან ჭრელი და მრავალსახოვანია ჩვენში. ვის არ შეხვდებით პოლიტიკურ დახლებთან, რომლებიც თავიანთ თავსა და პარტიებს სთავაზობენ ქართველ ხალხს, ამჯერად, ამომრჩევლებს. აქ არიან პროფესიონალი და დამწყები თაღლითები, სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომლებიც ციხეში იმიტომ არ სხედან, რომ კოჰაბიტაციის საერთა შორისო პროგრამაში არიან ჩართულები; აქვე არიან წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე პოლიტიკური ლიდერები, მეტყველების დეფექტების მქონე პოლიტიკური ორატორები... „მერე რამდენი, მერე რამდენი“, - როგორც ერთი ჩვენი გამოჩენილი პოეტი იტყოდა, ცოცხალი რომ იყოს. არც შეურაცხადი პოლიტპარტიების ბოსების ნაკლებობაა ბაზარზე... რა გაგიკვირდაო? მიხეილ სააკაშვილი და მისი ამყოლები და მიმყოლები ქვებს არ ისროდნენ 2003 წლის არჩევნების წინ? იქნებ დაგავიწყდათ ბოლნისში გადაღებული კადრები? ჰო და, მას შემდეგ ფსიქიატრიაში რადიკალური გადატრიალება კი არ მომხდარა და არც გამოსირებულთა რაოდენობა შეცვლილა მაინცდამაინც: „ვარდების რევოლუციამ“ ანუ გამოსირებულებმა, ქვისროლიები არ მოიყვანეს ხელისუფლებაში? ქვისსროლია კაცები, იქნებ ვინმეს დალაგებული ჭკუისა ჰქონია? ჰო, ჰო, ჰო... რას იჭაჭებიან! მე გიშველი ბიძია, მე გიშველი ბიძიაო, - გაჰყვირიან. ზოგიერთი ყელგამოწეული იხვეწება, ერთხელ მაინც მანდეთ ქვეყნის მართვაო! აი, ისე „გაიცინე და მოიგე“-ში რომ იხვეწებიან ხოლმე გადაყრუებული ბებრები, გაიცინე რა არაბიძე, ღმერთი არ გწამს, გაიცინე და უფულოდ ნუ გამიშვებ აქედანო. არა და, არაბიძის გაცინებას რა უნდა, თითი უჩვენე და ჩაბუირდება უსათუოდ.

ზოგიერთმა ე. წ. პარტიამ, არ ვიცი, ხელოვნურად, არ ვიცი ბუნებრივად, იბარტყა და თავისი მინამგვანი პარტიები შვა. ორსულობაში განსაკუთრებით ნაყოფიერო გამოდგა „ნაციონალური მოძრაობა“ (სინამდვილეში ნაცბანდა!), რომლის მიმდევრებსაც ხალხი „ნაცებს“ უწოდებს. „ნაცი“ ძველ ქართულში რასაც ნიშნავს, „ვეფხისტყაოსნიდან“ გახსოვთ ალბათ: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“. ჰოდა, ამ „ნაცების“ ნაციდან ნაშობებმა, ზოგმა „გირჩი“ დაირქვა, ზოგმა - „რკო“ და, მათი ჭკუით, ახლებურად წარუდგნენ ხალხს. ნორმალური ჭკუის ამომრჩეველს ამით ვერ მოატყუებენ და მათ არც აქვთ ამის იმედი, რადგან ხალხმა იცის, რუსთველისა არ იყოს, „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“. მათ ჩიტისტვინა ამომრჩევლების ანუ გამოსირებულების იმედი აქვთ და არც თუ უმიზეზოდ...

აბა, ერთი მითხარით, ნაცი დათიკია ბაქრაძე, ლეიბორისტი შალიკია ნათელაშვილი, მემარჯვენე მამუკუნა კაციტაძე, კონსერვატორი ზვიადა ძიძიგური, რაღაც პარტიის ბოსები: მებანე ბურჭულაძე, ილაკრა ალასანია და მათნაირი იმნაირები, ვისაც პოლიტიკოსები ჰგონია და მათთვის ხმის მიცემას აპირებს, გამოსირებული არ არის? ისინი თუ გამოსირებულები არ არიან, მაშინ ჩვენ ვყოფილვართ გამოსირებულები!

აქ ნახსენებ ე. წ. საარჩევნოდ გამზადებული პოლიტიკური „მოღვაწეების“ მარაქაში „რესპუბლიკელები“ საგანგებოდ არ ვახსენე, რადგან ისინი ცალკე ხსენებას იმსახურებენ. რატომ, იცით? ხალხის გამოსირებულ ნაწილში ისინი განსაკუთრებულ ინტელექტუალებად მიაჩნიათ და იმიტომ?

გამოსირებულებში განსაკუთრებული „შარავანდედით“ არის მოსილი „ინტელექტუალი“ და შეუდარებელი „ოქროპირი“ ლევან ბერძენიშვილი. „ილია ჭავჭავაძე? ასეთ პოეტს მე არ ვიცნობ!“ საჯაროდ განაცხადა ლევან „ინტელექტუალმა“. არ იცნობს და ამ ჩემს ფეხებს, თუ არ იცნობს, მაგრამ ეს შეუცნობლობაა მისი ინტელექტუალობის მაჩვენებელი? თავი ანტიკური ლიტერატურის მცოდნედ მიაჩნია და დავით გურამიშვილზე ამბობს, რაღა დროს დავით გურამიშვილია, ის ხომ სამასი წლის წინ ცხოვრობდაო. ანტიკური ეპოქის მწერლები ხომ ორიათასზე მეტი წლის წინ ცხოვრობდნენ და შენ რა ჩემი ფეხების სპეციალისტი ხარო, არ უნდა ეკითხა ვინმეს? ეს კაცია „რესპუბლიკური პარტიის“ ტვინი და ამათი იმედი რომ ექნება ვინმეს, გამოსირებულია მა რა ჩემი ტრულაილაა. ამ პარტიის ლიდერსა და მის საქვეყნოდ ცნობილ თანამეცხედრეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

ეს ამდენი თაღლითი, უვიცი და ჭკუამრუდი, პოლიტიკური ბაზარზე რომაა გამოვარდნილი, ერთი საერთო ნიშნით არიან დაღდასმულნი: მათთვის მზე ვაშინგტონიდან ამოდის. ისინი ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, ვინ უფრო კარგად დაუმტკიცებს უცხოელ პატრონებსა და ჩვენებურ გამოსირებულებს ევრო-ატლანტიკური ალიანსისადმი თავიანთ ერთგულებას. იმდენად „პრადვინუტები“ გახდნენ ეს ოხრიშვილები, რომ უცხოელებს, გადატანითი მნიშვნელობით კი არა, პირდაპირ ტრაკზე კოცნიან, ბრიუსელსა და ვაშინგტონში ნათქვამი სიბრიყვე კი წმინდა ჭეშმარიტებად მიაჩნიათ. ეჰ, შექსპირო, უილიამ, რა კარგად თქვი ამ ოთხასიოდე წლის წინ, „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის!“ შენ რომ ჩვენი გამოსირებულების საქციელისათვის გეცქირა, უსათუოდ ეტყოდი: „არ ვიცი განა, რომ სულელი კაცი ევროპაშიც სულელი არის და სულელი იქნება იგი მაშინაც, თუ განათლებას ფილადელფიის უნივერსიტეტში, ორთვიან კურსებზე ყოფნისას მიიღებს“-ო. შენ უფრო პოეტურად იტყოდი, ცხადია!

იტყოდი, მაგრამ შეისმენდა ვინმე? ჩვენ ისეთი ხალხი ვართ (ყველა არა, მაგრამ უმეტესობა - კი!), რომ უცხოური ნაგავი ჩვენებურ მარგალიტს რომ გვირჩევნია. ასე რომ არ იყოს, საქართველოს უპირველესი მეფის ძეგლს ქალაქგარეთ გავაძევებდით და ვიღაცა როლანდია რეიგანის ძეგლს წამოვპლაკავდით ქალაქის ცენტრში? მთლად სულელი ბუშისა თუ ნაბუშარის ქუჩას დავარქმევდით თბილისის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალს? გამოსირებულების მეტი ვინ იზამდა ამას?

სპარსელი თუ თურქი ისტორიკოსის, ჩელების შთაბეჭდილებებს რომ გავეცანი პირველად, საქართველოდან რომ წაუღია ამ სამი საუკუნის წინ, ბოღმით ავივსე: ეს რა მოუჩმახავს, რაები დაუბრალებია ჩვენი სახელოვანი წინაპრებისათვის-მეთქი. ქართველი კაცი, თავადი და აზნაური იყოს თუ გინდა, იმას როგორ იკადრებდა, თავისი თანამემამულენი ფულზე გაეყიდა უცხოეთის მონათა ბაზრებზე-მეთქი. არა და ჩელები წერს, ერთმა ქართელმა თავდმა დედა გაყიდა და იმ ფულით კარგი ცხენი იყიდიაო. ამას როგორ დავიჯერებდი მაშინ!

ახლა, აგერ ყოველი მეორე თუ არა, მესამე კაცი მაინც ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციის, ანუ ენჯეოს წევრია და სწორედ ფულზე ყიდის მოძმესაც და მოყვარესაც, საქართველოს წარსულსაც და აწმყოსაც.

ყველა არაგამოსირებულმა ანუ სადად მოაზროვნე კაცმა იცის რა უცხოურ გრანტებს (ანუ ძღვენს!) ღებულობენ „რუსთავი-2“-ის, დემოტრაკიის ბურჯის თანამშრომლები იოსებ სტალინის ლანძღვაში. ერთი ჩემი მეგობარი ისრაელში ცხოვრობს, ქალაქ ხულონში (იერუსალიმთან ძალიან ახლოს), სტალინის ქუჩაზე და ძალიან ეამაყება ეს. გორში კი, სტალინის მშობლიურ ქალაქში მისი ძეგლი აიღეს და მსოფლიო პედარასტების ტაში დაიმსახურეს ჩვენმა ძღვენჭამიებმა, უცხოური ძღვენისა, მშობილურის კი არა!

აი, ასეთი გამოსირებულების წინასაარჩევნო დოღია ახლა და ნუ ვიზამთ ისე, რომ საქართველო მთლიანად სასირეთად გადაიქცეს! ერთი პატარა, ლამაზი სოფელი გვაქვს ქართლში, სასირეთი, რომელსაც ეს სახელი მაშინ ეწოდა, როდესაც ფრინველს ქართულად „სირი“ ეწოდებოდა. ახლა სხვა დროა და საქართველოს სასირეთად გადაქცევა არ გვეპატიება არც ცოცხლებს და არც მკვდრებს!

ზურაბ ცუცქირიძე

მიწისქვეშა გადასასვლელი მოწესრიგდება

ქალაქ ხაშურში, ძნელაძის ქუჩაზე მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

მიწისქვეშა გადასასვლელი მრავალი ათწლეულის მანძილზე მოუწესრიგებელი იყო, ამიტომ მოქალაქეთა უმრავლესობა ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში გადაადგილებას რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთით ახერხებდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ ხაშურელი მოქალაქეებისთვის გადაადგილება გაცილებით უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ხორციელდება.

ᲮᲐᲠᲯᲡ ᲑᲔᲒᲝᲜᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲡ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, ხაშურის ქალაქის ბაღში ახალი ყვავილები ირგვება. ამჯერად ბაღს 5000 ძირი ბეგონია შეემატება. სამუშაოებს ა(ა)იპ "სავანე" ახორციელებს.

გვჯერა, ჩვენი თანამოქალაქეები ამ სასიკეთო ინიციატივას მიესალმებიან და თითოეულ ნარგავს გაუფრთხილდებიან.

ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის გალამაზებაზე, ძვირფასო თანამოქალაქენო!

V საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩქარა დასრულდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მეხუთე საბავშვო ბაღის პირველი კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულების შემდეგ პატარებისთვის სააღმზრდელო გარემო კიდევ უფრო კომფორტული გახდება.

სამუშაოები, რომელთა ღირებულება 199803 ლარია, სექტემბერში დასრულდება.

სურამის საბავშვო ბაღი ახალი სახით შეხვდება ბავშვებს

დასასრულს უახლოვდება ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის №9 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები. აღნიშნულ შენობაში, გასულ წელს გათბობის და წყლის სისტემები მოწესრიგდა, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, ამჯერად კი საბავშვო ბაღის შენობას სრული რეაბილიტაცია უტარდება. პროექტი გამგეობის ბიუჯეტიდან ფინანსდება და ღირებულება 132 749 ლარს შეადგენს. სამუშაოები სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება.

ᲒᲘᲜᲓᲕᲔᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

D

მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას "დავით თევზაძე-საქართველოს მშვიდობისათვის" 2016 წლის 26 აგვისტოს დაგეგმილი აქვს გამართოს კონცერტი და წარადგინოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბატონი რევაზ კოშკაძე.

12:00–15:00 სთ. დაბა სურამში, კინოთეატრის სკვერში;

16:00–19:00 სთ. ქ. ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში.

სულით და გულით გთხოვთ მობრძანდეთ და დაესწროთ ამ გრანდიოზულ და ლამაზ სანახაობას.

ᲕᲐᲧᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲐ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, ვაყის საბავშვო ბაღი ახალი ინვენტარით აღიჭურვა. ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ პატარა აღსაზრდელებისთვის ლეიბები, საბნები, ლოგინის თეთრეული, ხალიჩები და სხვა აუცილებელი ნივთები შეიძინა.

- საბავშვო ბაღების აღჭურვა საჭირო ნივთებით მომავალშიც გაგრძელდება, - აღნიშნა ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა დავით ნოზაძემ.

ვაყის საბავშვო ბაღი ათწლეულების შემდეგ აღსაზრდელებს წელს პირველად მიიღებს.

დევნილთა და ადგილობრივ ბავშვთა ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის

ამ დღეებში იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალ დასახლებაში (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს შენობა) გაიმართა ღონისძიება, რომლის მიზანი იყო დევნილი და ადგილობრივ მოსახლე ბავშვების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ღონიძიება ჩატარდა „სათემო ორგანიზაცია ხცისის" ხელმძღვანელის ლელა ქვრივიშვილის და „ზრდასრულთა განათლებისა და დასაქმების რესურსცენტრის" წარმომადგენლის მაია ახალკაცის ორგანიზებით. ორივე ორგანიზაცია არის ქსელის „მოძრაობა კეთილდღეობისთვის" წევრი. ქსელი წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში მომუშავე ორგანიზაციების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის დანიშნულებაა ომით და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ორგანიზაციაა გაერთიანებული ქსელში: ა(ა)იპ სათემო ორგანიზაცია ხცისი, „ზრდასრულთა განათლებისა და დასაქმების რესურსცენტრი", იძულებით გადაადგილებულ პირთა სათემო ორგანიზაცია "იმედი".

ზღაპრის გმირების მხიარულ გარემოცვაში ბავშვებმა ერთად ითამაშეს, მონაწილეობა მიიღეს სახალისო ვიქტორინაში, იცეკვეს და იმხიარულეს, ბოლოს გადაეცათ საჩუქრები და უამრავი ტკბილეული. ეს ლამაზი და სიყვარულით სავსე დღე დიდხანს ემახსოვრებათ პატარებს და მათ მშობლებს.

ღონისძიება გაიმართა პროექტის "საქართველოს ომით დაზარალებული მოსახლეობის კეთილდღეობის გაძლიერება უკეთესი სტრატეგიული დიალოგის გზით" ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი და ახორციელებს ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი" (გიფ-თბილისი).

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.